გთავაზობთ ინტერვიუს კასპის საბაქო საზოგადოება „არომატი“ ხელმძღვანელებთან, ბატონ ბერიძეს ოზბეკისთან და ბატონ რინოს ოდიშელისთან.

— დღეს, როცა ქართული წარმოება ძირითადად გაჩერებულია, დიდ ინტერესს იწვევს იმ მენარჩევებთან შეხვედრა, რომლებიც ახერხებენ ყველა წინააღმდეგობის დაძლევის და ისეთი პროდუქციის შექმნას, რომელიც მონაწილეობს სარეკლამოზო მომხმარებელში. აქედან გამომდინარე, გვსურს გავაცნოთ ჩვენს მკითხველს თქვენი პროდუქტები და თქვენი წარმოება.

ბერიძე ოზბეკი: — ჩვენს ქარხანას ათეული წლების ისტორია აქვს. იგი 50-იან წლებში აშენდა. თავდაპირველად აქ იყო საკონსერვო წარმოება. ქარხანა საკმაოდ დიდი საპროდუქტო სიმძლავრის მქონე იყო და ჯიდი დატვირთვითაც მუშაობდა, რადგან მისი პროდუქტია მთელ სამსახურს კავშირის მასშტაბით საიდუმლოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში დატრიალდნენ დესტაბილიზაცია და სამოქალაქო ომმა დიდი დარტყმა მიიტანა ჩვენს წარმოებას, ჩვენ დაკარგეთ გასაღების ბაზარი, რადგან ჩვენი პროდუქტის ადგილი გარკვეული წლების მანძილზე გაჩერების გამო დაიკავა უცხოურმა უსარისხომ, მაგრამ სამაგიეროდ იაფფასიანმა პროდუქტებმა, ამის გამო, საქირო შეიქმნა საბაზრო ეკონომიკის მკაცრი პირობებისთვის ფეხი აგვედნო, რომ დროს არ ჩამოვრჩეთ იყავით. ქარხნის ბაზაზე შევქმენით საბაქო საზოგადოება „არომატი“ და პირველად საქართველოში ხორბლის სპირტის მძლავრი წარმოება დავეგმეთ. უკრაინიდან ჩამოვიტანეთ უახლესი ტექნოლოგია-დანადგარები, მოვიწვიეთ ამ საქმის საუკეთესო სპეციალისტები, კვალიფიკაცია ავუმალეთ თანამშრომლებს და შეიძლება ითქვას, არაფერიდან შევქმენით ხორბლის სპირტის თანამედროვე წარმოება. ამჟამად, ჩვენს მიერ წარმოებული უმაღლესი ხარისხის სპირტით ვასაბით ასევე მალაი ხარისხის არაყს „კასპს“ და „კლდე“ კარს.

— მოგახსენებთ, ასეთი მასშტაბის წარმოების შექმნას სჭირდება

ფინანსები. ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში წარმოების განვითარებას ხელს უწყობს საბაზრო სისტემა ხელსაყრელი კრედიტები. ჩვენთან როგორ არის ამ მხრე მდგომარეობა, კმაყოფილი ხართ თუ არა ბანკებთან ურთიერთობით?

რინოს ოდიშელი: — შეიძლება ითქვას, რომ საბაზრო სისტემა და წარმოება დღეს ისეა ერთმანეთს დაშორებული, როგორც ცა და დედამიწა. ის საპროცენტო განაკვეთები, რომლებიც ბანკებს გააჩნიათ, გამოორცხავს წარმოების საჭიროებისათვის გრძელვადიან სესხების აღებას. ამიტომ ბანკებთან ურთიერთობისგან თავს ვიკავებთ და ვცდილობთ ჩვენი მოკრძალებული შესაძლებლობებით გავართვათ თავი ჩვენს ამოცანებს. მართალია, ეს ხელს გვიშლის ახალი იდეების განხორციელებაში, ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში, რაც კიდევ უფრო უფეტურს გახდის ჩვენს წარმოებას, მაგრამ სხვა გზა არ არის. ისევე საკუთარი შესაძლებლობებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

— ჩვენთვის ცნობილია, რომ ბიზნესმენთა დიდი უმრავლესობა დღევანდელ საგადასახადო კანონმდებლობას წარმოების განვითარების დამბრუნველად თვლის. თქვენი აზრი ამ საკითხის შესახებ.

ბერიძე ოზბეკი: — საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა

და სისტემა აგერ უკვე მერამდენე წელიწადია უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქართული მრეწველობის განვითარებაზე. ამხელა პარალამენტი გვაყავს არჩეული, ამხელა მთავრობა არსებობს და ნუთუ არ შეიძლება ისეთი საგადასახადო კოდექსის შექმნა, რომელიც მწარმის ინტერესსაც დაცავს და არც სახელმწიფო დაზარალებს. სხვა თუ არაფერი, ამ კანონების გამარტივება მინც ხომ შეიძლება, რომლის თავი და ბოლო თვით საგადასახადო სამსახურის თანამშრომლებს ვერ გაუტკვევიათ. საქმე იმაშია, რომ ხშირად ერთი კანონი ეწინააღმდეგება მეორეს, ამავე დროს იმდენად ხშირად იცვლებიან კანონები, რომ მათ ათვისებას და წარმოებაზე მორგებასაც კი ვერ ვასწრებთ, რის გამოც დიდი პრობლემების წინაშე ვდგებით. ამიტომ, ჩვენც ამგვარი საგადასახადო სისტემის მიმართ არაკეთილგანწყობილ მწარმეთა არმის ვუერთდებით.

— კიდევ ერთი პრობლემის შესახებ მინდა გესაუბროთ, რომელიც ჩემი აზრით, ქართულ წარმოებას ზურგში ურტყამს დანას. ეს არის ფალსიფიცირებული საქონლის მოზღვაება ქართულ ბაზარზე.

ბერიძე ოზბეკი: — დიას, ფალსიფიცირებული საქონლის აღურიცხავი რაოდენობა უკვე ეროვნული მასშტაბის კატასტროფად ექცა ჩვენს ქვეყანას. ასობით და ათასობით ადამიანი იღუბება ფალსიფიცირებული საქონლის საყვარელ მიწებსზე. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, განგაშის ზარები ამა შემოსავრავი, რომ ეს ჭირი მოვაცილოთ ქვეყანას. იმაზე უკვე აღარ ვლაპარაკობ, თუ რა დიდ ზარალს გვაყენებს იაფფასიანი ფალსიფიცირებული საქონლის ნაირსახეობის სჭარბე ბაზარზე.

რინოს ოდიშელი: — თქვენ წარმოადგინეთ რა ხარისხის უნდა იყოს არაყი, რომელიც ბაზარზე 70 თეთრი ღირს. იაფი ფასის გამო მყიდველი ისეთ საქონელს ეტანება, რასაც ჩვენი მალაი ხარისხის საქონელი კონკურენტის ვერ უწევს. საერთო ჯამში ვზარალებებით ჩვენ და მერე სახელმწიფოც, რადგან ჩვენ გადასახადს გაყიდული საქონლიდან შემოსუ-


ლი თანხით ვიხდით, ხოლო ფალსიფიცირებული საქონლის მწარმოებელი, როგორც წესი, არაფერს გაუღრდად მუშაობს და თავისთავად ცხადია, არც გადასახადს იხდის.

სხვათა შორის, ჩვენ ცვდილობთ ვებრძოლოთ ფალსიფიკაციას. ეკოლოგიურ სამსახურთან და პოლიციასთან ერთად ვაწყობთ რეიდებს ფალსიფიკატორების წინააღმდეგ, მაგრამ ამ ბრძოლას სჭირდება სახელმწიფოებრივი მიდგომა და ორგანიზება. ეს ჭირი უკვე ისეა მოდებული, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფო დონეზე უნდა მიმდინარეობდეს. სხვათა შორის ამ ფრონზე წარმატებას ვერაფერს მიადევს.

— ექსპორტზე თუ ფიქრობთ და რა უშლის ხელს ჩვენი ალკოჰოლური საშუალებების საერთაშორისო ბაზარზე გატანას?

ბერიძე ოზბეკი: — ჩვენი არაყი დიდი მონაწილეობით სარგებლობს ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, მაგრამ არახელსაყრელი საგადასახადო კანონმდებლობის გამო და ასევე იმ მიზეზით, რომ ყველა ქვეყანა გაზრდილი საიმპორტო გადასახადით იცავს თავის ბაზარს უცხოური საქონლისაგან, ვერ ხერხდება დიდი რაოდენობით საქონლის ექსპორტით გატანა.

— ორივე სიტყვით გვითხარით თქვენი წარმოების ეკონომი-



მეცხრე გვერდიდან

გურიასა და აჭარაში". მასში მითითებულია, რომ „ართვინის ეკლესიებიდან... ერთი დიდი ეკლესია, ქართული-წარწერიანი ქვა აქვს დატანებული, სომხურად უქცევიათ. სომხებისა და ტრაპიზონელი ბერძნების დავის შემდეგ სომხებს წარწერიანი ქვა დაუშალა და ეკლესიას იჩემებდნენ, ბერძნები უმტკიცებდნენ: „ეს ეკლესია, როგორც ქართული, ქართველთა ერთმონაწილეობის უნდა დაგვრჩესო“ (იხ. აღ. აბდალაძე. თავშეუკავებელი გამოცემები — „მამული“, 1991, №11, ივნი).

XIX ს.-ში დაწერილი ამგვარი „საქმანობა“ XX საუკუნეშიც გავრცედა და მასში მონაწილეობა მიუღია სომხური მოსახლეობის როგორც დაბალ ფენას, ისე ინტელიგენციასაც. აკად. ნ. ბერძენიშვილის ნაშრომში: „ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური“ აღწერილია არაერთი შემთხვევა როგორც ქართული წარწერების განზრახვა: „ქოპა-ამოხვევის, ქართულის მაგიერ სომხური წარწერის ჩასმის, ისე საერთოდ ქართული სიძველეებისა და მათი ზედიზე დაინტერესებული მკვლევართა მიმართ, არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულება (იხ. ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. I. 1964, გვ. 53, 66, 69, 70, 73, 75, 79, 103-106 და სხვ.). სამწუხაროა, რომ მსგავსი ფაქტები დღესაც გრძელდება. მერლი „ცხოვრების გამომავლი“, რომელიც „ივერიაში“ კლდის (პეტრე მირიანაშვილი) ფსევდონიმით გამოაქვეყნა, მოგვითხრობს, რომ თბილისელმა მდიდარმა მოქალაქემ ვინმე მირზოევმა ბორჩალოს მაზრის სოფელ ბაიადარაში შეიძინა დიდალი მამულეები, დაყო პატარა-პატარა ნაკვეთებად და ერთნიდან თავისი ერთმორჯული ხალი დაიბარა-მოიხი დასახლდით, მინა დაამუშავებ, მეც მარგეთ და თქვენც ისარგებლეთო. ავტორი დასძენს, „მირზოევის, საერთო საქმე“ არც პირველია და არც უკანასკნელი იქნება, უნდა ვიფიქროთ, მის კვლავ შეუდგება არამიანიც, რომელმაც თავად სიმონ წერეთლისაგან ბორჩალოშივე ელახან დიდი მამული შეიძინა. ასე და ამას პირაა უნდა თავადების მელიქიშვილთა, ბარათაშვილთა და ორბელიანთა სამკვიდრებელი მალე პაისტანად იქნება

სომხები საქართველოში

გამოცხადებული“ (ივერია, 1901, I სექტიმბერი).

პეტრე მირიანაშვილი მკითხველს შეახსენებს, რომ სომხები სხვა დროსაც გადმოსახლებულან საქართველოში, მაგრამ ეს გადმოსახლება საშიში არ იყო, რადგან მაშინ სომხურ მოქალაქეობრივ მისწრაფებას მათ შორის ადგილი არ ჰქონდა. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, ამ მიმართულებამ აშკარად იჩინა თავი და „სომხებს აზგასერებს იმედი მიეცათ ჩვენს დიდებს ნანგრევებზე თავიანთი ერის ბედნიერება აეგოთ, მაგრამ მათ ერთი რამ დაავიწყდათ: რამდენადაც კარგი და მოსაწონია ღვიძლი ერის პატრონობა, მის დარაჯად დგომა, იმდენად ცუდი დასაგმობია „მისი ნაქეზება სხვა ერის სამკვიდროდ დასაპატრონებლად, მეტადრე მაშინ, როცა ნამქეზებელი ამ ერის ქვეყნის შვილები არიან და მისი ურ-ღვირით უფატი პირში სული“ (იქვე).

ქართული მინა-წყლის გაყიდვამ, სომხების მიერ მიტყუებამ და დაპატრონებამ ისეთი მასობრივი ხასიათი მიიღო, რომ „ივერია“ თავის ერთ-ერთ მონაწილეში საკმაოდ მკაცრი ტონით აღნიშნავს, სულითა და გულით თანამეგრძობელნი სომხების აღორძინებისა და ღრმად პატივისცემელი მისი ერის საკუთრის საისტორიო საუწყეთა მედგარად შეებრძოლება სომხს მეცხვებსა და აზგასერ შოვინისტებს, მათ მიერ საქართველოს მოქალაქეობრივად დაპატრონების მისწრაფებას. „ჩვენ არავის გავცერთ, მშვენიერის ქართლისაგან“, მითუმეტეს არც სომხებსა-ნათქვამია „ივერის“ მონაწილეში, რადგანაც ჩვენ, ქართველები, სტუმართმოყვარე ვართ, მაგრამ ისიც ვიცით, რომ სტუმარს თუ ხანი გაუვიდა, სიღინძა და იქცევა, ხოლო თუ ღამის გათევასაც არ დასჯერდა და მძიმედ მოკალაბებული მოჰყვა: სტუმრობა მეყოფა, ამიერიდან მასპინძელი მე თვითონ უნდა ვიყო ასეთ სტუმარს ყოველი მასპინძელი მოახსენებს: როგორც მოხალთ სივანა, ისე წახვალ შინაო“ (ივერია, 1902, 23 აგვისტო).

იან წლებში სომხები კათოლიკე მღვდლებს ერთმა ნაწილმა შოვინისტური განეთის „მშაკის“ ფურცლებზე წამოიწყო წერილების გამოქვეყნება იმის შესახებ, თითქოს ისტორიულად არ არსებობდნენ ქართველი კათოლიკეები. თითქოს ქართული კათოლიკური მოსახლეობა სამცხე-ჯავახეთში სომხური მოდგმის მოსახლეობა იყო, რომელთაც ბოლო დროს მივიღოთ ქართული ენა და დავეიცოებინათ თავიანთი მშობლიური-სომხური ენა.

სომხს შოვინისტთა ეს ყალბი პუბლიკაციები აშკარად ანტიქართული იყო, ამდენად საჭიროდ მიგვაჩინა მოკლედ შევეხებოთ ქართველთა შორის კათოლიკური სარწმუნოების გაფრცხვლების ზოგიერთ პრობლემას.

ქართველთა შორის კათოლიკურმა სარწმუნოებამ ფეხი მოიკიდა XIII საუკუნის 20-იან წლებში ფრანჩისკანელი და დომინიკანი მისიონერების მოღვაწეობით. XVI ს.-ში დაარსდა თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსოს ეკლესია, რომელსაც ქართულენოვანი ტიპიკონი ჰქონდა და მიუძღვნა სანაპირურ მხარეში ქართულ ენაზე სრულდებოდა. სამცხე-ჯავახეთში კი კათოლიკობის კვანი ჩანს XV ს. მეორე ნახევრიდან, იგივე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, თბილისის საეპისკოპოსოს მრევლში შედიოდა. XVI ს. დასაწყისში საქართველოში სრულიად შეწყდა ევროპის კათოლიკური მისიონერთა საქმიანობა და ქართველი კათოლიკე მრევლის სამსახურში კილიკია-ნახტევნიდან მოსული სომხი უნუფორი ბერები ჩადგნენ. მათ თანდათან ლათინური მოძღვრები სომხს კათოლიკეთა მოძღვრებით შეცვალეს. სამცხე-ჯავახეთში ის-მაღლა შემოიტყვის შედეგად, როცა მთელი მოსახლეობა მაჰმადიანდებოდა, ძველი კათოლიკეების „მცირე რიცხვა შეინარჩუნა მიღებული კათოლიკე სარწმუნოების სომხის ტიპიკონის მიღებით“ (მ. თამარაშვილი. ისტორია კათოლიკობისა, გვ. 41).

თურქეთის მთავრობის სპეციალური ფირმანით სომხს კათოლიკეთა გადაყვანა ლათინურ ტიპიკონზე აკრძალული იყო (მ. ლომსაძე. გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან. ახაო-

ციხური ქრონიკები. თბ., 1979, გვ. 48).

ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში შემოღებულმა სომხურენოვანმა რიტმა დიდი გავლენა იქონია მრევლის ონომასტიკაზე. სომხურენოვანი ტიპიკონით მონათლულ ბავშვებს ისტორიულად ჩამოყალიბებული და მიღებული სომხური სახელები ერქმეოდა. შემდეგ დროთა განმავლობაში სახელის მიხედვით იქნებოდა ახალი გვარები და ნამდვილი წარმომავლობის დავიწყება ემსახურებოდა (მ. ლომსაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 49).

XVII ს. დასაწყისში აღმოსავლეთ საქართველოში სპარსეთის ზეით შემოვიდა დომინიკანელი მისიონერები, რომლებიც კათოლიკური ეკლესიის პროპაგანდას ეწევიან. მაგრამ ქართულენოვანი საეფოსო რუჟითან მიერთების შემდეგ აიკრძალა კათოლიკური პროპაგანდა. კათოლიკური პროპაგანდა კათოლიკური მისიონის ცარიზმა დაუპირისპირა ადგილობრივი სომხი კათოლიკენი ლათინ პატრებს უკიდურესად ავიწროვებდნენ, სომხს კათოლიკებს კი, როგორც რუსული ორიენტაციის მატარებლებს, ყოველნაირად ხელს უწყობდნენ. მთავრობა იმაზეც კი თანახმა იყო, თუ კავკასიის ყველა კათოლიკე სომხურენოვან ტიპიკონზე გადავიდოდა, ან უკეთეს შემთხვევაში-გერგორიანობას მიიღებდა.

1886 წლის უმაღლესი ბრძანების შესაბამისად, ქართული მოსახლეობისათვის კათოლიკურ ეკლესიებში მღვდელმსახურება მხოლოდ სომხურ ენაზე უნდა შესრულდებოდა. იმპერატორ ალექსანდრე III-ის ამ ბრძანებულებაში ნათქვამი იყო: „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ბრძანებს, კავკასიაში მორწმუნე კათოლიკებს, სულერთია სომხურ წესს ეკუთვნის თუ ლათინურს, აღარ აქვთ უფლება ქართული ენით ისარგებლონ ეკლესიის ღვთისმსახურებაში, რომ აღარ იყოს დაყოფა ქართველ და სომხს კათოლიკეებად“ (იხ. მ. თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, გვ. 726). ქართველი კათოლიკე მოძღვრები ცდილობდნენ ვატაკონის დახმარებით გადაეჭრათ მშობლიური ენის დამკვიდრების საკითხი. მაგრამ რომის პაპი ქართველთა

კური მიჩვენებლების შესახებ. **ბერიძე ოზბეკი:** — ჩვენს წარმოებაში 200 მუშა-მოსამსახურე მუშაობს. საშუალო ხელფასი არის 120-150 ლარი. ჩვენ ვახერხებთ იმას, რომ იმ პერიოდშიც კი, როცა გაჩერებული ვართ, ხელფასი არ მოვაკლოთ ჩვენს თანამშრომლებს. ამავე დროს რაიონის ბიუჯეტთანაც დამოკიდებულებას პასუხისმგებლობით ვუდგებით და კასპის რაიონის ბიუჯეტის 30-40 პროცენტს ჩვენ ვუყვებით.

რინოს ოდიშელი: — ჩვენ არც ქველმოქმედება გვაინტერესებს, რაიონში არ ჩატარებულა არცერთი კულტურული და სპორტული ღონისძიება, რომლისთვისაც ჩვენ ხელი არ გავგვემაროთ. ქართული კაცი ბუნებით ქველმოქმედი და რაც მტკი წარმატება ექნება ჩვენს წარმოებას, მით უფრო მტკი სასიკეთო საქმეების გაკეთების საშუალება გვექნება.

ბერიძე ოზბეკი: — მე მხოლოდ ვარ შეიქმნას საქველმოქმედო საქმიანობისათვის რაიონული ფონდი, სადაც ჩვენს დიდ წვლილს შევიტანდით და რაიონული მასშტაბით განისაზღვრებოდა, ვის რა დახმარება და ხელშეწყობა სჭირდება. ამით უფრო რეგულარული გახდებოდა საქველმოქმედო საქმიანობა.

— და ბოლოს, საინტერესოა თქვენი აზრი, შეუძლია ქართველ მწარმებს ქვეყნის გადარჩენა? **ბერიძე ოზბეკი:** — თუ სახელმწიფო შექმნის ქართული წარმოების განვითარებისათვის შესაბამის პირობებს, ქართველ მწარმებს აქვს ყველა მონაცემი იმისათვის, რომ აამუშაოს მრეწველობა და სოფლის მეურნეობა და დასაქმოს ხალხი და სახელმწიფო ბიუჯეტს სოლიდური შემოსავლების მქონე გახადოს.

ჩვენ რომ ქართული წარმოების უკეთესი მომავლის იმედი არ გვქონდეს, საქმეს ხელს არც მოვკიდებდით. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველო თავის წარმოებაზე დაყრდნობით ფეხზე მყარად დადგება და თავის ღირსებას დაიბრუნებს.

ესაუბრა ბია თვალაშაძე

თხოვნას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. უფრო მეტიც, 1894 წელს პაპ ლეონის დეკრეტით აღმოსავლეთის კათოლიკებს ეკრძალებოდათ ლათინურ ტიპიკონზე გადასვლა, რაც იწმინდა ქართველ კათოლიკეთა ძალაუფლებად სომხურ ტიპიკონთან დაკავშირებას.

1889 წლის მაისში ხელისუფლების უმაღლესი ბრძანებით თბილისის კათოლიკეთა ეკლესია მოხსენებული იყო სომხურ ეკლესიასთან. ამავე დროს ადგილზე გაწვინდული ისმეტორები ამონებდნენ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აკრძალვის შესახებ ხელისუფლების მიერ გამოცემული ბრძანების შესრულებას (იხ. მ. ლომსაძე. მიხილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკეები. თბ., 1984, გვ. 24). ქართველი კათოლიკური მრევლისათვის ეკლესიის დაკარგვის საკითხი ყველაზე მძიმედ ჩანდა, რადგან, თუ ეკლესიას სომხებს დაუპატრონებდნენ, მაშინ ქართველების თავმოყვარეობა თავისთავად შელახული იქნებოდა და ქართველი კათოლიკეები სომხს კათოლიკებად შეიცვლებოდა. ამის გამო ქართველი კათოლიკეებმა უმაღლეს ბრძანებას წინააღმდეგობა გაუჩინეს და საქმე გასარჩევად სასამართლოში გადაიტანეს.

1903 წელს იტალიაში იტალიურ ენაზე მხატვრული კონგრესი აციის ვერვა ტერ გაბრიელ ნახტევანმა გამოაქვეყნა წიგნი „სომხს კათოლიკეები საქართველოში და საკითხი კათოლიკე სომხთა და ქართველთა შორის“, რომელშიც გაყალბებული იყო ქართველი კათოლიკებისა და მთელი საქართველოს ისტორია. ამ ნერელთან დაკავშირებით „ივერიაში“ დაბეჭდა მ. თამარაშვილის ვრცელი მწერლობა ნარკვევი (იხ. ივერია, 1903, 26 და 28 დეკემბერი). ენაზე ეს ნერლი გამოქვეყნებულია. — ნერდა მ. თამარაშვილი, მე დიდად გავკვირდით ავტორის ტრიუმფისა და თავგასულობაზე ტრონიკისა და თვალაშაძეებთან ჩვენს წინააღმდეგ ებოძებოდა სიტუაცია და ცილისწამებას ვერაპაშა ავრცელებს. არ იკმარა რაც აქამდე ... გავერცხვებინათ ... ამის სათვის არ გვინდა უსურაღმდეგო დეტყოვით ასეთი თავსდაური ნერლი“ (იქვე, 1903, 26 დეკემბერი).

შთა თითხამ ოთარ თითხამ



ვისთან ვეკავით უზანავეს სსსპარტლოში „გარტალი“ საპარტალი?

ალბათ, ძალიან უნდა გიჭიროდეს ახალგაზრდას ხელში კალამი აიღო და გადამწყვიტო, შენი დარდი საზოგადოებას გაუზიარო. დარდი, რომელიც თავს არ გავიწყებს, მუდამ თან დაგვყვება და იძულებული ხარ სულ მასზე იფიქრო. ან კი როგორ შეიძლება გულგრილად შეხედო იმ ამბავს, რისი მოწმენიც ჩვენ გავხდით.

ს-ნ 21 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობდა ჩვენი მეგობრის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფსუქოლოგის სტუდენტის, ზვიად ნოზაძის სასამართლო პროცესი (მოსამართლე ავთანდილ ნულუკიანი). ამ პროცესმა საფუძვლიანად შევეცირეთ რწმენა იმის თაობაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელია სიმართლის დადგენა.

სასამართლო პროცესი განხილავდა 1993 წლის აგვისტოში დაბნეულ სურამში მომხდარ მკვლელობას, რომლის ჩადენაშიც ზ. ნოზაძის სდებდნენ ბრალს. ბრალდებულობის დამამტკიცებელ საბუთთა არარსებობის გამო იგი პირველადი ძიების დროს გამართლებული იქნა. 1997 წელს კვლავ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ამ ფაქტთან დაკავშირებით.

მომხდარი ფაქტის დეტალებზე არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს, ეს, ალბათ, პროფესიონალების საქმეა. ჩვენი სურვილია ამ დღია წერილობით დაკარგული რწმენის პასუხი მოვთხოვოთ მოსამართლე ნულუკიანს საზოგადოების წინაშე.

9 ოქტომბერს გამოტანილი განაჩენი იყო არა მხოლოდ ზ. ნოზაძისათვის, არამედ ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვისაც,

რომლებიც, უკლებლივ ყველა, სხდომას ვესწრებოდით და სასამართლოსგან ობიექტური ქვეშარტების დადგენას მოველოდით.

სამსუხაროდ, მოსამართლე, მიუხედავად მის მიერ გაკეთებული განცხადებისა, რომ იქნებოდა მიუკერძოებელი და დაიცავდა როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის ინტერესებს, არ აღმოჩნდა თავისი სიტყვის პატრონი. მან, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ცრუმონმეტა სუბიექტური აზრზე დაყრდნობით, განზარს მკვლელობაში დაადანაშაულა ზ. ნოზაძე და 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასამართლო დარბაზში მყოფ 40-ზე მეტ ახალგაზრდას, რომლებიც სულ რამოდენიმე წელიწადში — უკვე XXI საუკუნეში გამოვალთ ცხოვრების ასპარეზზე, ბ-ნა ნულუკიანმა ნათლად დაგვანახა, რომ არავის არ ჭირდება სიმართლე, რომ „ძლიერთა ანაქვეყნისათ“ ყველაფრის უფლება აქვთ. მან დაგვარწმუნა, რომ უფულო ადამიანის ბედი უზენაეს სასამართლოსაც კი არ ადარდებს, თუნდაც ის ცამდე მართალი იყოს.

მეტსმეტ მორალურ პასუხისმგებლობას ხომ არ იღებთ თქვენს თავზე, ბ-ნო ავთანდილ?

რასი დაადანაშაულეთ თქვენო „უწმინდესობა“, ზ. ნოზაძე, ნუთუ იმაში, რომ ძლივს გადაარჩა ძალით თავს მოხვეულ კონფლიქტში? იგი იმდენად მართალი იყო, რომ მიუხედავად ათასგვარი მცდელობისა, ეს ვერ იმალებოდა, ამას ხომ თქვენც ცხადად ხედავდით. ნუთუ ვერ ხედავდით, რომ მკვლელს ამდენი მეგობარი არ ეყოლებოდა და არც მთელი კურსი ამოუდგებოდა მხარში; ნუთუ ვერ დაინახ-

ეთ, რომ თქვენს წინ უკეთილშობილესი პიროვნება იჯდა განსასჯელის სკამზე?

მაშ, როგორ მოხდა, რომ „დაზარალებულად ცნობილების“ ჩვენებები, რომლებიც ასე გაკვირვებით და აღგავსოვით გამოცხადდა დასაწყისში მათ შორის არსებით განსხვავებათა გამო, განაჩენის კითხვისას „კეთილსინდისიერ ტყუილად“ გადაიქცა; როგორ მოხდა, რომ განაჩენი იმ საბრალდებო დასველის გადამღერება აღმოჩნდა, რომლის ავტორიც აშკარად და დასაბუთებულად დაადანაშაულა ტენდენციურობასა და მიკერძობებაში განსასჯელის ადვოკატმა ბ-ნმა გოჩა ჩხეიძემ, კამათის დროს; რატომ იცოდა წინასწარ — რამდენიმე დღით ადრე მეორე მხარე განაჩენი, რომელიც თქვენს გარდა არავის არ უნდა სცოდნოდა; რატომ არ მისაძინეთ რეაგირება იმ ფაქტზე, რომ ზ. ნოზაძე თავისი ადვოკატის გარეშე იქნა გაყვანილი შემთხვევის ადგილზე, რაც კანონის აშკარად დარღვევაა; რის საფუძველზე დაადანაშაულეთ „ბრალდებულს“, როცა გაურკვეველ მიზეზთა გამო უკვალობა გამოქრალი უმნიშვნელოვანესი ნივთმტკიცებანი: იარაღები, ტყვიები, ტანსაცმელი; რატომ არ მიიღეთ მხედველობაში სასამართლო სამედიცინო ექსპერტების დასკვნა, რომლის თანახმადაც ზ. ნოზაძის ბრალდებულობა არ მტკიცდებოდა, განაჩენი კი იმ ბალისტიკოსების დასკვნაზე აკეთეთ, რომელთაგან ერთ-ერთი ადამიანთა გატაცების გამო ამჟამად ციხეში იმყოფება, ხოლო მეორე, სასამართლო პროცესზე, რბილად რომ ვთქვათ, თავისი განსწავლულობით ვერ „ბრწყინავდა“?

რას მივანეროთ ეს ყოველივე

ბ-ნო ავთანდილ, რა იყო თქვენი ტენდენციურობის მიზეზი, გაყიდული სინდის-ნაშუი ხომ არა? უად დაიკარგა მართალი სამართალი?

პროცესის დასაწყისში მოწმეებს შენიშნებს აძლევეთ ქართველობის თაობაზე, დასასრულმა კი ცხადყო, როგორი ქართველიც ბრძანებულხართ, ბ-ნო მოსამართლე. მაშინ, როცა სახელმწიფო დამინაშევესა და რევიდივისტებსაც კი არ უსჯიან 13 წლით თავისუფლების აღკვეთას, თქვენ უნიჭიერესი და რაც მთავარია, მართალი ადამიანი საპრობილისთვის გაიმეტეთ. ყოველგვარი შემამსუშუქებელი გარემოების გათვალისწინების გარეშე. (ზ. ნოზაძის სულ ახალგაზრდა მეუღლე და მისი შვილი ჰყავს, დანარჩენზე აღარ ვსაუბრობთ) მისი ნიჭი, ჭკუა და ენუდიცია რომ წინართით საქართველოს, აი ესაა ეროვნული დანაშაული და არაქართული საქციელი, ბ-ნო ავთანდილ.

ზ. ნოზაძის არ სჭირდება ვინმეს შეწყალება, იგი მხოლოდ ობიექტური ქვეშარტების დადგენას ითხოვდა და ამის იმედოც შექნდა, რაც, სამსუხაროდ, არ გაუმართლდა. მისი სიმართლე ხომ ფაქტია, რომელიც ერთხელ უკვე (პირველივე ძიების დროს) დადასტურდა და ახლაც მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალურ დასტურს ელის.

„დიდი მადლობა“, ბ-ნო ავთანდილ, თქვენ „დროზე აგვიხილეთ თვალები“ და ცხოვრების ასპარეზზე იმ ბავშვური რწმენით არ გაგვიშვით, მართალი ადამიანი ყოველთვის გამარჯვებული გამოედის ბრძოლიდანო. ეს სასამართლო პროცესი ნამდვილად „კარგი

- გაკვეთილი“ გახლავთ ჩვენთვის.
- ბ-ნო მოსამართლე, ჩვენ ახალგაზრდები ვართ, პირველად ვიგემთ წაგებული ბრძოლის სიმწარე... თურმე საჭიროა და ოთარაანთ ქრვივით რკინის ქალამებს ჩავიცმევთ, კიდევ რკინის ჯოხს ავიღებთ ხელში და ყველგან მივალთ სიმართლის საპოვნელად.
- „უზენაესი სასამართლოს პატივცემული მოსამართლე“, საკუთარი სინდისი თუ არას გამხილებთ, უზენაესის მაინც არ გეშინით, ასეთი ცოდვით რომ იმძიმებთ სულს? თუკი ჯერ არ დაფიქრებულხართ, დროა დაფიქრეთ ბ-ნო ავთანდილ, დროა!
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტები:
1. გ. ზურაბიძე
 2. დ. ჯაფარიძე
 3. გ. ძაწინაძე
 4. ს. ძაწინაძე
 5. დ. მუშაპურიანი
 6. დ. საზარაძე
 7. გ. ვატიანი
 8. გ. სუციანი
 9. ი. ჩიქინდანიანი
 10. ი. ვალაშვილი
 11. გ. აბაშიანი
 12. გ. კვიციანი
 13. გ. ზაქარაიძე
 14. ა. შუაღაძე
 15. გ. ასათიანი
 16. კ. ბონაძე
 17. ბ. ტახტაძე
 18. გ. ჯეჯეძე
 19. გ. ზურაბიძე
 20. ი. კიკელაშვილი

კინოპანორამა

ამჯერად ჩვენი გზავთის საშუალებით გვინდა მოკლე ინფორმაცია მივანოდოთ მკითხველს იმ ახალ ფილმებზე, რომლებიც მალე გაეჩვენება ეკრანზე. მას ასე, ასეთი ფილმი „ჩასაფრება“.

სურათი პოლიტიკური ტრილერი, რომელმაც დაამტკიცა, რომ ბოროტება ყოველგვარ საზღვარს გასასცილდა.

პრინციპი ფილმის პოლიტიკური კორექტივისა პოლიტუდში იდიოტიზმამდე დაყვანილი. პროდიუსერებს ნოტალგია აქვთ 80-იან წლებზე. როცა მთავარ ბოროტებან გამოყვანილი ჰყავთ კომუნიზმი, ჩრდილო-აღმოსავლური ბლოკი, ლათინო-ამერიკული ნარკობარონები და



ველა ქვეყნის ტერიტორიაზე. დღეს-დღეობით არ შეიძლება განასახიერო ეთნიკური, რასობრივი, სექსუალური ემოციურობა (ეს რა თქმა უნდა, არა კორექტული იქნება), რაც შეეხება ლათინურ ნარკობარონებს, აქ საქმე გაცხილებით უკეთ არის და დღეს-დღეობით ისინი წარმოადგენენ ბოლოდროინდელ რისხვას, ხოლო ბერლინის მუდლის დაცემა და კომუნისტური რეჟიმი, უკვე გლობალური ძალაა, რომელიც წარსულს დაბარდა და პოლიტიკის რეჟისორებს დარჩათ რუსი გენერლები ომის ბუტაფორიაში გამოაყენებლად. მიუხედავად ამისა, უტალია და გერმანია — მთავარი მომწოდებელია მსოფლიო კინო-

ზარზე და შურაცხყოფა ნაციონალური მასურბელისა არ არის მიზანშეწონილი.

დარჩა მხოლოდ არაბი ფუნდამენტალისტები, მხოლოდ მიზეზის ათელისთვის საკმარისია განხეთქლება ნუ-იორკში სავაჭრო ცენტრში 1993 წელს, რომელიც კინოგეური დანაშაულიცაა.

სურათის „ჩასაფრება“ სცენარისტი ედგარ ცვიკი. მასში მოთხრობილია პოლიციის საქმიანობა, რომელიც ვერ უსწორდება ტერიტორიების ტალღას, რომელთაც ბრალად ედებათ ტერაქტების მოწყობა. მთავრობას ქალაქი გადაეცავეს სამხედრო რეჟიმზე. არაბული წარმოშობის ხალხი, რომლებიც მეორე მსოფლიო ომში იბრძოდნენ იაპონელების წინააღმდეგ, დააპატიმრეს და კონცლაგერებში გაგზავნეს.

გადაღებების დაწყებამდე ფილმის პროდიუსერმა ლინდა ობსტმა სცენარი გააცნო არაბეთის სამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს და თანხმობაც მიიღო, მაგრამ მიუხედავად ამისა რამოდენიმე თვეში ამავე ორგანიზაციიდან მიიღეს შურაცხყოფილი წერილი და ფილმიდან რვა კადრის ამოღება მოითხოვეს. ლინდამ გაითვალისწინა მოთხოვნები და სცენარი ხელახლა გადაამუშავა და დაიწყო სურათის გადაღებები 1998 წლის გაზაფხულზე. გადაღებებმა სკანდალის გარეშე ჩაიარა. თუმცაღა თუ არ ჩავთვლით გადასაღებ მოედანზე შეპარულ ყურნალისტებს, რომლებმაც მოახერხეს სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ბრიუს უილისის გადაღება და დანულ ვაშინგტონთან ინტერვიუს აღება.

ფილმის შინაარსის მყოფლას არ დაეინყებთ, რადგან ახლო მომავალში ტელევიზიის პირები არხის საშუალებით იხილავთ სურათს.


ფილმის „ჩასაფრება“ პრემიერამ დისკუსიები და კამათი გამოიწვია, ჩვენ ვთვლით, რომ დემოკრატიულ საწყისებზე აღმოცენებულ ქვეყანაში კამათი ბრძოლაში არ გადაიზრდება, მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბერში ფემინისტები მისწრაფვოდნენ პოლიტიკისკენ. ამის შემდეგ ინტერნეტის ერთ-ერთმა ყურნალისტმა ანეტ ბენინგი ბუვიკისთვის მოხუცად მიიჩნია.

მსგავსი, ერთი სტერეოტიპი დაიმსხვრა ჯერ კიდევ პრემიერამდე. დღემდე ყველას ეგონა, რომ ამ პრობლემით ახლა ინტერესდებიან მხოლოდ ახალგაზრდები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ინტერნეტში სხირად იხედებოდა 40 წლის ქალიც, ანეტ ბენინგი.

ანეტ ბენინგი დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა, რათა ეთამაშა ტრუს აგენტო. იგი ხშირად დადიოდა აგენტებთან პრაქტიკოსების და იმუშავებდა მუსკულატურას. სწორედ ასეთმა მომზადებამ შეუწყო ხელი ანეტს, განეხორციელებინა გმირი სურათში „ჩასაფრება“.

ანეტ ბენინგი დაიბადა კანზას-სიტიში, იყო უმცროსი ოთხ ბავშვის შორის ოჯახში. შვიდი წლის ასაკში მამამ, რომელიც უშიშროების აგენტი იყო, ოჯახი კალიფორნიაში წაიყვანა.

მასობრივ აღნიშვნებს, რომ ბავშვობაში მსახიობის კარიერა არ იტაცებდა. 14 წლის ასაკში მდინდან იწყებს მუშაობას მამასთან, ხოლო სკოლის დამთავრების შემდეგ ეწყობა კოლეჯში, სადაც



ანეტ ბენინგი

«ოსკაროსნები»

შევეცდებით ჩამოგიტყალოთ ფილმები, რომლებიც კინოკრიტიკოსთა აზრით მომავალში წარდება ოსკარზე.

„ნამდვილად ღირავალი“

— ფილმი გადაიღო კარლ ფრანკლინმა ცნობილი ანი კინდლერის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. მთავარ როლებში არიან: რენი ზულევეერი, მერლ სტრიპი და ულიამ ხერტი.

„საქმეში“ დიდ მიღწევებს აღწევს, ემოცია, რომელიც სიღრმეიდან მოდის, მაგრამ მიუხედავად ამისა დელიკატურ ჩარჩოებშია მოქცეული ასეთი პრინციპით არის აგებული სწორედ ეს სურათიც.

„დაუპირილოდ ვეკვალა“

— ფილმი გადაიღო რეჟისორმა რობერტ ცოუნმა, პოლიუდის ლეგენდამ და „ოსკაროსანმა“. სურათში აგრეთვე დაკავებულნი არიან დიდი მიღწევების მსახიობები: ბილი კრუდუტი, დონალდ საზერლენდი და ბილი ბაუერმანი (სურათი ეძღვნება სპორტსმენის ცხოვრებისეულ თავგადასავალს).

„სამომალამო მომავალა“

— ფილმის რეჟისორია ტიენ ზეილინი, ხოლო მთავარ როლში კი იხილავთ ჯონ ტრავოლტას (რომელიც ასახიერებს აფერისტ ადვოკატს).

„ვრინის თაორია“


— ეს ფილმი კოსტუმირებულია, მასში არ არის არც გამოუცნობი თეორია,

მონანილობს სტუდენტურ თეატრში. ამ პერიოდში ანეტა გათხოვდა და სამცხოვრებლად გადავიდა დენვერში.

ანეტ ბენინგი ამბობს, რომ ხშირად თეატრის მსახიობი ვერ ხედება დიდ ეკრანზე, მას კი ბედმა გაუღიმა და 30 წლის ასაკში პირველი დებიუტი შედგა სურათში „დიდი პიკნიკი“. ამის შემდეგ ფილმები-ფილმებს მოჰყვა. მილომ ფორმანის ორი სურათი „სახიფათო კავშირები“ და „ვალმონტი“ (1989 წ.)

ასახიერება დენროს მეუღლის როლს „საეჭვო დანაშაულში“ (1997), ხაროსან ფორდთან სურათში „გენრისთან დაკავშირებით“ (1991 წ.)

ასე რომ, როლებით აღფრთოვანებული მსახიობი მიიწვეს ოლიმპოს მწვერვალისკენ.



აკადემიკოსი ლისეული გაეულივილის

შოთა ინჰიკრევილი (1929-1994)

ითი, თამარი, ფარნაეზი, ვახტანგი, გალაქტიონი და ისევ დიდი ილია, ჩვენი სათაყვანებლები გახდნენ სამუდამოდ.

ახლა ადვილია ყოველივე იმის თქმა, რასაც იგი ჩვენ ჭაღარაკთან ერთად, უმეტეს-

ნილად აღზნებული „გვიჩინებდა“ — გემოდღვრავდა, მაგრამ იმ დროს სათვის გმირობა, თუ არა დიდ გამბედაობასა და ვაჟკაცობას წარმოადგენდა. მას სენდებდა, მაშინ ქართველ მოჭაღარაკებში მიღებული იყო რუსულ-ქართული ტერმინოლოგიის ნარევი საუბარი.

უმრავლესობა ქართველი მოჭაღარაკების რუსული საჭაღარაკო და სალიტერატურო ანბანებით სარგებლობდა. დასამახსოვრებელი იყო ისიც, თუ როგორ ცინიკურად უყურებდა რიგი „წარჩინებული“ მოჭაღარაკი და მმართველი საჭაღარაკო ჩინოვნიკი „ქარის ნისქელებთან“ მებრძოლ ახალგაზრდა მოჭაღარაკსა და მწვინელს — შოთა ინჰ-



ირველს, როცა ის ქართული საჭაღარაკო და არა მარტო საჭაღარაკო, ენისა და დამწერლობის დამკვიდრებას რომ მოითხოვდა. ამ შემთხვევებში იგი მუდამ დაუდგარი და შეურიგებელი იყო, რამაც საბოლოოდ მშენებლოვანი როლი შეასრულა საქართველოში ქართული საჭაღარაკო დამწერლობის დროულ დამკვიდრებაში. რაც შეეხება მის პედაგოგიურ საქმიანობას, ზემოთ ჩამოთვლილ აღზრდილთა სახელები და დიდი როლიდან გამომდინარე ქვეყნული საჭაღარაკო თეორიული, კრიტიკული თუ პუბლიცისტური ნაშრომები თვალნათლივ მტკიცელებენ.

ბრწყინვალე მესოერების, დიდი ცოდნისა და ინტელექტის პატრონი ცხოვრებაში სავსებით არაპრაქტიკული აღმოჩნდა. მის კიდევ ერთ დამახასიათებელ თვისებათაგანს უანგარობა და თავდაუზოგველობა წარმოადგენდა. მასხენდებდა კიდევ, თუ როგორი ბედნიერი

სახით შემოვიდოდა წიგნებით დაუკრული ჭაღარაკის კაბინეტში, თავის „თავისუფალი საქართველოს ტერიტორიაზე“. მიღებული ხელფასს, უმეტესწილად, ჩვენთვის — მისწავლისათვის საჩუქრად ნაყიდ წიგნებში ხარჯავდა. იგი, როცა სხვა „რჩეული“ ქართველი მოჭაღარაკის ყველა სკვეთით სარგებლობდნენ, თავის ბოლო კაპიტალს სხვას უნაწილებდა. მეცადინეობისას საათი და რეგლამენტი მისთვის, თავისთავად ჩვენთვისაც არ არსებობდა. ხშირად მისსავე ნაყიდი ფუნთუშებით ვიმაგრებდით თავს. წერილმანებია ვითომ?

შოთა მასწავლებლის განუსაზღვრელი ენერჯია სასწავლებრივად კეთილ გავლენას ახდენდა მის გარშემო მყოფთაგანზე. სამაგიეროდ თავისი შეურიგებელი — უკომპრომისო ხასიათის გამო კრიტიკა არ აკლდა, რაზედაც ხშირად იტყობდა, რომ „მე მხოლოდ პატრონის ხალხი მფასებს და პატრეს მკვებს“ და ჩამოთვლას ნონა გაფრინდაშვილით იწყებდა ხოლმე.

ჭაღარაკი ისეთი სპორტიანი, რომელშიც წარმატების მიღწევას თავდაუზოგავ შრომასთან ერთად დიდი დრო სჭირდება, რასაც ხშირ შემთხვევაში ერთეულები თუ აღწევენ. შოთა ინჰიკრევილის ასობით და ათასობით მოსწავლეებშიც ჭაღარაკს ერთეულები შერჩნენ, მაგრამ რაც მთავარია, იმ მრავალმა ასულმა გაიარა მისი სულიერი ქართული სკოლა და სადაც არ უნდა იყვნენ, წრფელი მაღლიერებით გაიხსენებენ ბავშვობის იმ დაუფინყარ წლებსა თუ თვეებს.

„არან ადამიანები, რომელთა არსებობაც უანგარო და უშურველი ნათებაა, მხოლოდ ნათება სხვათა სასიკეთოდ, სასიბარულოდ“... ხოლო ვინც ანათებს უცილობლად ინვის კიდევაც. და! ინვის — იფერფლება. ასეთი იყო შოთა ინჰიკრევილი.

შოთა ინჰიკრევილის მონაფეთა სახელით მერაბ ჭანაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

მსოფლიოს საჭაღარაკო პრაქტიკას არ ახსოვს და ალბათ უნიკალური შემთხვევაცაა ერთი პროვინციის მიერ მაღალი რანგის მოჭაღარაკეთა ესოდენ დიდი რაოდენობის გაზრდისა: ექსტრა კლასის საერთაშორისო დიპლომატიები (ოლიმპიური და მსოფლიოს პირველობათა ჩემპიონები და პრეტენდენტები) ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომან ჯინჯიფიაშვილი, ნანა იოსელიანი, ნინო გურჯილა, დავით გურგენიძე (ორგზის მსოფლიოს პირველობის გამარჯვებული საჭაღარაკო კომპოზიტორი), გენადი ზაიჩიკი, ქეთევან კახიანი, მაია ლომინიშვილი, საერთაშორისო ოსტატები — თამაზ ტაბატაძე, აკაკი იაშვილი, ოსტატები — თეიმურაზ ლომია, ციცინო კახაბრიშვილი, მზია წერეთელი, ქეთევან და ნინო მელაშვილები, ნინო ხუბუღური, ცირა მერეკლიშვილი, ვარლამ ვეფხვიშვილი, კახა ჩიგოგიძე, კახა შალამბერიძე; საქართველოს დამსახურებული მწვინელები — გიორგი მაჭარაშვილი და გოგი ხომერიკი, კვალიფიციურ მოჭაღარაკეთა მთელი არმია. „ოსტატი ნახელავით იცნობა, მასწავლებელი — აღზრდილი“.

განსაკუთრებული თვითმყოფადი ხასიათი ყოველთვის გამოჩნდებოდა ხიდა მას. მასში, უმოთხრესი იყო სიყვარული — უზომო სიყვარული სამშობლოსადმი-საქართველოსადმი, უზომო სიყვარული ქართული საჭაღარაკისადმი, ბავშვებისადმი. მასხენდებდა 30-40 წლის წინ თუ როგორ დადიოდა იგი ქართულ სკოლებში და როგორ სათუთად კრიბავდა ასობით პატარა ქართველს, რომ შემდეგ მათში ჭაღარაკის სიყვარულთან ერთად საქართველოს ხატება დამკვიდრებინა. ნაძალადევში, მაშინ ლენინის რაიონის პიონერთა სახლში („სადაც დაკარგულში“) ერთი მოცუტუნული ოთახი ეკავა ჭაღარაკის კაბინეტს — ჩვენ „გაბრწყინებულ საქართველოში“ შევდიოდით. ილია, ვაჟა, აკაკი, ივანე, დავ-

იხილვათ
გარემონტებული მაღაზია (ფართი 91,3 მკვ, სარდაფი — 250 მკვ) მისაგართავი: ვარკეთილის 3, II მკვ. ფასი 8500 ლოლარი
საკონტაქტო ტელეფონი 79-63-30 ნოლარი

ქსკრეს-აუდიტ სერვისი
ლიცენზია № 091;
გთავაზობთ აუდიტორულ მომსახურებას ზოგად აუდიტში
1. საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება;
2. საკონსულტაციო მომსახურება და რეკომენდაციები;
3. ძონების შეფასება-გადაფასება;
4. გუდალტრული მომსახურება;
5. ფირმების რეგისტრაცია.
თბილისი, თავისუფლების მოედანი, აუზკინის ძ.5 მკ-2 სართ.
ტელ: 93-15-89

ქართული სკოლის ერთ-ერთი სახეობის ცნობილ ამაგზარს, სპარტელოს მასხაბაბით რვა ჩემპიონის აღზრდელს, ამაგზად ასაკობან, შერყვული ჯანმრთელობისა და ეკონომიკურად ქლიერ გაჭირვებულ ადამიანს მსაჭიროება ფინანსური დახმარება.
თუ გულთან მიიტანთ ამ დახმარებას ქროვნების გასაჭირს (როგელმაც შეგნებულად არ ისურვა ვინაობის გამგება საგაროედ) და დახმარებას გადაწყვიტეთ, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ გზათ „სპარტელოს“ რედაქციაში. ტელ: 93-20-36.

სვირა ჯონარიკა
26 ნოემბერს ორმოცი დღე ინურება სვირა, რაც იმქვეყნიურ საუფლოში, ხარ. ჩვენი გლოვის, ტანჯვის, მუდმივი ცრემლების და შენი უზომოდ მონატრების დღეებია ეს დღეები. თითქოს გუშინ იყო ის საზარელი დღე, შენი მოულოდნელად და ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი რომ შევიტყვეთ. გულის სიღრმეში მაინც არ გვჯერა, რომ აღარა ხარ, პატარა იმედი მაინც გვიღვივის თითქოს, იმდენად შეუსაბამოა სიკვდილი შენთან, ასეთ ხალი-სან, სიცოცხლით სავსე, ოჯახის, ახლობელ-მეგობართა მოყვარულ ვაჟკაცთან.
22 წელი იცხოვრე ამქვეყნად, მაგრამ დიდი სიყვარული და უსაშველო გულისტკივილი დაგვიტოვე. შენი პატარა მარიაში დაგვრჩა ნუგეშად, შენს სახედ და ხატებად. ცრემლიანი თვალებით ვეფერებით მარიაშ და გულში ღურთის ვევედრებით, ჯანმრთელი, ბედნიერი გაიზარდოს და სახელოვნად აღაროს შენი გვარი.
გულდამწვრები, გახვეებულები დავდივართ ამქვეყნად. ანკი როგორ გვიდგას სული შენს დამკარგავს, მაგრამ მაინც მივართვით ამ გაძალღებულ წუთისოფელს, რადგან შენს მარიაშ გაზრდა უნდა, ჩვენთვის საფიციარ შენს საფლავს მოვლა და შენს ძვირფას ხსოვნას სათუთი მოფერება.
ნათელში იყავ, ჩვენო სვირა!
შენი ოჯახის წევრები

ვულოცავთ გნ ვახტანგ არახსიას ვაჟიშვილის, ანრი არახსიას მოვლინებას ამძვეყნად. გავრდილიყოს ღირსეული ქართველი ვაჟკაცი, წინაპრებისა და ოჯახის ტრადიციების ერთგული, ლაღი და ზადნიერი.
მურთაზ ჩიქოვანი, სერგო ჯანაშია

აზენით ლამაზად!

ლევან არქიტექტორი ნათაბე
• სახლები
• ინტერიერი
• გამწვანება
☎ 9207811.
3816328.

გაზეთ „საქართველოს“ კომპიუტერული სენბრი გთავაზობთ
გაზეთების, ჟურნალების, ბროშურების, ბუკლეტების დაკაბადონებას. ეტყველების (ფერდაყოფა — A3 ფორმატი, 1200 დბ), სარეკლამო პროსპექტების და სხვა პოლიგრაფიული პროდუქციის დამზადებას. ყველაფერი იაზად, სარისხისაზად, მაღალ თანამედროვე დონეზე და ოპერაბიულად.
თქვენ მოგემსახურებათ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.
მის: თავისუფლების მოედანი, პუშკინის 5, I სართ. ოთახი 205, 206. ტელ. 93-19-99

ყურადღება!
ვინვეთ პრის რეალიზატორებად (გამსაღებლებად) დაუხამებად მოძალაქიავს. პირობების გაგება შემოიქლიათ ტელ: 93-20-36 ან მისაგართავი: აუზკინის 5, II სართული.
გაზეთ „სპარტელოს“ რედაქცია.

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის
მოადგილე: 93-18-41

რედაქციის მისაგართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, აუზკინის ძ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

გაზეთის ღირებულება: ელგუჯა ჩხაიძემ
რედაქცია: ვია თვალავაძე (რედაქტორის მოადგილე), ზაზა ალ-ადამილი (კომპიუტერი დირექტორი), კობა კახანაძე (სამართლის დ-რე, პოლიტიკის განკ. გამგე), გიორგი ლალიაშვილი (რედაქციის განყოფილების გამგე), კორმასკონდენტმატი: კობა ბრეგვაძე, ქეთი ჩალუნელი, ქეთი გუგუაძე, ზათუნა ხატიაშვილი, ნათია ჭანტურია, მანანა ლობჯანიძე, ნანა ძველია.
კორექტორები: აპოლია გოგრაბაშვილი, აპრიტა ჯანაშია

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებულ მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ

დამფუძნებელი და გამომცემელი საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444